ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №844939

ნომერი: AR1150198

თარიღი : 29.07.2013

გაცემის თარიღი : 14.08.2013

გაცნობის თარიღი : 16.08.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი , N 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მოჰამედ ჰასან გივე ჩიან პ/ნ 01397002737
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 3ბ

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 2013 წლის 04 ივნისის #695096 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურს 2013 წლის 29 ივლისს #AR1150198 განცხადებით მომართა მოჰამედ ჰასან გივე ჩიანმა და მოითხოვა სამსახურის 2013 წლის 04 ივნისის #695096 გადაწვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ.

თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2013 წლის 04 ივნისის #695096 გადაწვეტილებით ქ. თბილისში, იუმაშევის ქუჩა #27–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.19.26.004.132; ფართობი: 3750.00 კვ.მ.) არსებული შენობის (საწყობი) რეკონსტრუქციისა და სამრეწველო შენობის განთავსების მიზნით დამტკიცებული იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი ახალი საჯარო რეესტრის ამონაწერისა (რეგისტრაციის #882013288148, მომზადების თარიღი: 26.06.13) და საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის #882013288148, მომზადების თარიღი: 24.06.13) თანახმად ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და დღეის მდგომარეობით შეადგენს 3730.00 კვ.მ.-ს, ახალი საკადასტრო კოდი #01.19.26.004.177, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას სამსახურის 2013 წლის 04 ივნისის #695096 გადაწვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2013 წლის 04 ივნისის #695096 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 2013 წლის 04 ივნისის #695096 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 3730.00 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს #01.19.26.004.177;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 2013 წლის 04 ივნისის #695096 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის #882013288148, მომზადების თარიღი: 26.06.13) და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #882013288148, მომზადების თარიღი: 24.06.13, საკადასტრო კოდი: #01.19.26.004.177);
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 2013 წლის 04 ივნისის #695096 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.